**თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**
**2023 წლის 11 იანვარი**
**მორიგი სხდომის**
**ოქმი № 1**

ქ. თერჯოლა 11 იანვარი 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

**სხდომას უძღვებოდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ზარათაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ:** 1. გიორგი ზარათაშვილი, 2. ამირან ვეროულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემურ ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალი ისაკაძე, 13. ელისო მურადაშვილი, 14. მანუჩარ ფანჩულიძე, 15. შალვა ჭანკვეტაძე, 16. გრიგოლ გიორგაძე, 17. გოჩა ვეროულაშვილი, 18. დავით გოგბერაშვილი, 19. ტარიელ ფანჩულიძე, 20. როლანდი მესხი, 21. ივანე ჩუბინიძე.

**სხდომას არ ესწრებოდნენ:** 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. რამინი რობაქიძე, 3. თამარ ახვლედიანი, 4. ფრიდონ გვენეტაძე, 5. დავით ცხადაძე, 6. ნატალია ასათიანი, 7. კობა კირკიტაძე, 8. მერაბ ბასილაძე, 9. რუსუდან კოპზირიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 21 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

**სხდომას ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე, მერის მოადგილე მირზა ქოჩიაშვილი.

სხდომა დაიწყო $12^{00}$ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - $13^{15}$ სთ-ზე.

*საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.*

დღის წესრიგი:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის№27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282300938 , 09/01/2023);

/მომხს. თ ქოჩიაშვილი/

2. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282300936 , 09/01/2023);

/მომხს. თ ქოჩიაშვილი/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282300965 , 09/01/2023);

/მომხს.ზ.ბუცხრიკიძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

6. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

7. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

8. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

9. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

10. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

11. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

12. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის, ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

13. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

14. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრიებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

15. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

16. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

17. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წერილი № 28-282235476 , 20.12.2022 წ.);

/მომხს. შ.ჭანკვეტაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 21 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ (ბიუჯეტში აისახა ნაშთი).

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 5613,9 ათასი ლარით (გრანტი 1900.0 ათასი ლარი, ნაშთი -3713,9 ათასი ლარი) და შეადგენს 26201,5 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 5613,9 ათასი ლარით. 2023 წლის პირველი იანვრისათვის დარჩენილი ნაშთი 3713,9 ათასი ლარი აისახა ბიუჯეტში (აქედან: გასანაწილებელი ნაშთია 330,0 ათასი ლარი და მიმდინარე ვალდებულებები 3383,9 ათასი ლარი). სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე გამოიყო 1900.0 ათასი ლარი.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა საშემოსავლო ნაწილის პარალელურად 5613,9 ათასი ლარით. მ/შორის:

მერიის დაფინანსება გაიზარდა 212,0 ათასი ლარით.

გზების კეთილმოწყობა გაიზარდა - 325,2 ათასი ლარით;

წყლის სისტემის რეაბილიტაციისა და ექსპლუატაციის დაფინანსება გაიზარდა -112,6 ათასი ლარით.

კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსება გაიზარდა - 1850,0 ათასი ლარით.

საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა, ასევე საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების დაფინანსება გაიზარდა -135,0 ათასი ლარით.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია გაიზარდა 1079,1 ათასი ლარით.

საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება დაფინანსდება 1900.0 ათასი ლარით.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის N 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება №1, 11.01.2023 წ).

2.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**გადაწყვიტეს:** ცნობად იქნას მიღებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ასახვის შესახებ" ინფორმაცია.

3.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების 2023 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - განკარგულების ნუსხაში წარმოდგენილია 14 ობიექტი (12 უძრავი და 2 ავტომანქანა). პროექტში წარმოდგენილი ობიექტების პრივატიზება განხორციელდება უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული თანხები.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292301115, 11.01.2023 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 200 000 ლარი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.2923011001, 11.01.2023 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 250 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230112, 11.01.2023 წ.).

6.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პირველ და მეორე ახალშობილზე თანხა გასულ წელს იყო 200 ლარი, წელს არის 250 ლარი, მესამე ახლშობილი იყო 250, არის 300, მეოთხე იყო სამასი, არის 350, მეხუთე და ასე შემდეგ იყო 350, არის 400, ტყუპების შემთხვევაში თანხა არის 600 ლარი. პროგრამის ბიუჯეტია 50 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230119, 11.01.2023 წ.).

7.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 70 000 ლარი).

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად გაჭირვებული და მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების საკვები პროდუქტებით მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230118, 11.01.2023 წ.).

8.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 2 000 ლარი, ბენეფიციართა სოციალური დახმარებით თანხა თვეში - 70 ლარი, გასულ წელს იყო 50 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230113, 11.01.2023 წ.).

9.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 45 000 ლარი , პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარების თანხა თვეში 60 ლარია, გასულ წელს იყო 50 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230114, 11.01.2023 წ.).

10.
**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 30 000 ლარი. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარზე გაიცემა 150 ლარი, ერთჯერადად.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით ან პარკინსონით დაავადებულ ბენეფიციართა სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის

პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი  ( განკარგულება № გ-29.29230117, 11.01.2023 წ).

11.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 80 000 ლარი. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა თვეში შეადგენს 250 ლარს, გასულ წელს იყო 200 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი  ( განკარგულება № გ-29.29230116, 11.01.2023 წ).

12.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 20 000 ლარი, დახმარების თანხა თვეში არაუმეტეს 200 ლარია.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი  ( განკარგულება № გ-29.29230114, 11.01.2023 წ).

13.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების

ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტია 32 000 ლარი, 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარს თვეში 120 ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 ლარი. გასულ წელს დიაბეტით დაავადებულს ეძლეოდა 100 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.29230115, 11.01.2023 წ).

14.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის მთლიანი ბიუჯეტია 460 000 ლარი. დაზიანებული სახლების გადაუდებელი შეკეთებისათვის გამოყოფილია 15 000 ლარი, მცირეფართიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის - 445 000 ლარი, წელს აშენდება 10 სახლი. გასულ წელს აშენდა 9 სახლი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2023 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292301113, 11.01.2023 წ).

15.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 20 000 ლარია. მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე ბენეფიციარზე თვეში გაიცემა 100 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მარტოხელა მშობლის სოციალური მხარდაჭერის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292301112, 11.01.2023 წ).

16.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 5 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურების თანადაფინანსების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292301111, 11.01.2023 წ).

17.

**მოისმინეს:** მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ შალვა ჭანკვეტაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - პროგრამის ბიუჯეტი 3 000 ლარი.

**აზრი გამოთქვეს:** საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე -21 , წინააღმდეგი - 0

**გადაწყვიტეს:** დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი ( განკარგულება № გ-29.292301110, 11.01.2023 წ).

*სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 11 იანვრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.*

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ბარათაშვილი